

„შე შენ მიყვარდი, შენ მნაობდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შევექლო“...

ნიკოლაჟის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 6 (249) 30 ივნისი ხუთშაბათი, 2016 წელი; ფასი 1 ლ.



**არჩევნების მთავარი მიზანი-
„ნახვის“ საბოლოო ჩამოცილება!**
ქვეყანა პოლიტიკური
ბატონობის ხი უნდა
ბადავყოლოთ

მე-2 გვ

ფოთის ნავსადგუხი
ფოთეაჯის ნინააღაბა?

„აია მომოპოცინას“

14 ივნისი, 2016 წელი
ბამაფხოთინიჯაბი აასია
ფოთის ნავსადგუხში



**დაუბრუნეთ ფოთის ნავსადგური
საქართველოს!**

მე-3 გვ



იბერიკა

შტტი გზიდან
მთვდიჯაბთ

მე-5 გვ

**ყველას გავასნოთ კოლხეთის
უნიკალური ღირსშესანიშნაობაბი**



გაიხსნას
ფურიბმის
საინფორმაციო
ცენტრი

მე-4 გვ



**სს „კორპორაცია
ფოთის საზღვაო
ნავსადგურის“
გენერალური
დირექტორს
ბ-ნ კლავს კოლმ
ლოურსენს.**

მე-4 გვ

დიფერაფურდი აქცია
„ცოცხადი წიგნები“
ფოთის ცყეპარკში

მე-7 გვ

**პეპრა-პავლოვა
დასაბამი
მართლმადიდებ-
ბლობისა**

მე-7 გვ



ენი იუბიკა

დავით ეხებუას -60
„თაჯისის“ აკადემიამ
იუბილაბს უფლის დიდებული
სატი გადასცა

მე-4 გვ

მილოსვა



ნინო აბრასდავას,
დავით ჭეკიბვიდი
„დმეტით,
დაგვწეწე
ჯვასტისა“

მე-6 გვ

სხანოსნობა

**სენაკში
„მარულა -
2016“
გაიმართა**

მე-8 გვ



ფეხბუხთი - ეპიკონის პიხვეცობა

**დიდი
სენსაცია**

მე-8 გვ



არჩევნების მთავარი მიზანი - „ნახვის“ საბოლოო ჩამოხრება!

ქვეყანა მთლიანად წყვეტს არ უნდა ვისაყიფოთ

ავად თუ კარგად მიიღია რეჟიმის შემდგომი პერიოდი-კომპიტიაციით ცნობილი, როგორც დემოკრატიული ლობის თანამშრომლობის ნაცადი ფორმა, მაგრამ „ნაცების“ პარტიასთან - რა თანამშრომლობა გამოვიდა, თავის თავზე გამოსცადა ქართველმა ხალხმა, მთელი მათი მოღვაწეობა ყველა მიმართულებით ქვეყნის განვითარების შეფერხებაზე იყო ორიენტირებული, არადა, მათ აქვთ დიდი ფინანსური რესურსი, რომელიც ქვეყნის გაყიდვა -ძარცვით და ამერიკული პრემიების სახით მიიღეს და იღებენ კიდევ, ამდენად, ცხადია, ამ არჩევნების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება, ამ დესტრუქციული მოვალეობა-დამანგრეველი ძალის ყველა პარამეტრით ჩამოშორება. პოლიტიკური ასპარეზიდან, ამასთან ერთად „ოცნება“ უნდა აღიაროს ის შეცდომები, რამაც „ნაცების“ რეპლიკაცია განაპირობა, ვერ მოხერხდა სამართლიანობის აღდგენა, ვეღარ გადაიდგა ნაბიჯები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, კვლავ პრობლემაა სიღარიბე, უმუშევრობა, მაგრამ მოვლენებს თუ კარგად გააანალიზებთ, თავი და თავი ვითომ დემოკრატია, უზნეობის თავისუფლება და ქართველობის, როგორც ფენომენის გადაგვარება, არადა, ხალხი და დემოკრატია იდენტურია-მისი ნების გამოხატვა ხელისუფლების ასარჩევად, თუმცა, ასე არ ხდება და ამის დადასტურება დამოკიდებლობის წლები, ხალხი საარჩევნო საშუალებად იქცა, ხოლო ხელისუფლება ცხოვრობს ყველა დროში კარგად, ქართველობა კი ტოვებს ქვეყანას, განსაკუთრებით ქალები, ახალგაზრდები, რათა აქ არჩინონ დარჩენილები, რომელთა მართვა იოლია სიღარიბის გამო. „შენ არ იცნობ სიღარიბეს, იგი არის პატარა ჯვარცმა“, სამწუხაროდ, ვერ ჩამოყალიბდა სახელმწიფოდ ჩვენი პატარა ქვეყანა, რომელიც იგი ოდიდგან გვქონდა. რატომღაც არავინ ახსენებს კოლხეთს, მსოფლიო ცივილიზაციის სათავეს, მათ შორის ევროპული ცივილიზაციის და რამდენად რიტორიულია კითხვა-ვართ თუ არა ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, რაოდენ სამწუხაროა, რომ ქართველები ცნობილია ემიგრაციაში ქურდებად, მოსამსახურეებად, მძაბვეებად, მოკლედ, ამ მშვიდობიან დროს უნდა ვიბრძოდეთ ქვეყნის იმიჯის გადასარჩენად, რაც მხოლოდ ეროვნული ძალებით არის შესაძლებელი, თუმცა იმდენად ჭრელია პოლიტიკური სპექტრი, გაჭირდა გაერთიანება, არადა, ქვეყანა ერთია. ყოველდღე ახალი პარტიები შემოდის ასპარეზზე, ამდენი პარტია არ იცის მსოფლიო ისტორიაში, ესეც ქართული კულტურისაა, მიზანი მხოლოდ ძალაუფლებაა, ბრძოლა თანამდებობისათვის, ანუ პირადი კეთილდღეობისათვის (4 წელი არაა ცოტა დრო). ჩვენ გავიმარჯვებთ! -გაპიკიან ყველა მხრიდან, ხალხი როდის გაიმარჯვებს? ხალხი, რომლის მოთმინების ფილა აივსო და ამ სიმწარეს ვიდაცას ახლავინებს, თუ...

თითქმის ყველა პარტია პროდასავლურია, რაც მათ ინტელექტს, განათლებას „მიანიშნებს“, არადა დევიური გზა ყველასგან გამორჩეულია, რასაც კარგავს ევროპა, ქრისტიანობის დაკარგვით. არავის ახსოვს საქართველოს გეოსტრატეგიული ფუნქცია, კულტურის

ცივილიზაციების რელიგიათა გადაკვეთის ადგილი მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაარსებობით, სამშობლოს სიყვარულის გრძობა დააკარგვინეს ქართველობას, მათ დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებათ. ერი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა, ცნობილი თეორიაა - თუ ერი 10 მილიონს ვერ აღწევს, მომავალი არააქვს. ხალხს იმედი სჭირდება ყველაზე უფრო, ვინმემ ოცნება, იმედი იმისა, რომ მშვიერი არ მოკვდება და ავადმყოფობა ვერ მოერევა-მას სახელმწიფო დაიცავს გაჭირვების ჟამს-სადაა მერე ეს იმედი, კოალიციურმა კონგლომერატმა ლამის დაასამარა იგი, მხოლოდ პატრა ნაპერწკლები

დავიჯიროთ, იმათ უნდათ ნაბოთი ქვეყნის გადარჩენა 9 წელი რომ ანგრევდნენ?

ელავს. „ოცნებას“ მათი ჩამოცილება ძვრად უჯდება-ურეიტინგო პარტიები მოვიდნენ ხელისუფლებაში, რატომ? მათი პროდასავლური ხედვის გამო, რაც არ ემთხვევა ქართველი ხალხის ინტერესებს, მის ბუნებას, ერთსქესიანთა ქორწინება ინცესი და სხვა ათასი უბედურება არ



ზის ქართველი კაცის ხასიათში, რამეთუ ესაა გზა ინსტინქტისა და ველურობისაკენ, ეტყობა, დეგრადირებული ქვეყანა ვიდაცას სჭირდება, რათა საბოლოოდ დაიპყროს იგი, (რა საჭიროა ბომბები). თუ არ გამოფხიზდით, არ გავერთიანდით, მალე ქვეყანას გადაიყოლებს უაზრო პოლიტიკური კინკლაობა. ძირითადი მოქმედებები პრორუსული და პროამერიკული ძალებია. გარბიან ერთნი მოსკოვში, მეორენი -ვაშინგტონში და აბუხდებენ ერთმანეთს თავიანთი პატრონებს წინაშე. ადრე ფეოდალური ხანა მახსენდება, შუდლი და მტრობა, გენი არ ისვენებს, 21 საუკუნის შადიმანები არ ისვენებენ, როცა საქართველოს ამდენი შინაური მტერი ყავს, პოლიტიკაში განათლებული აფერისტები, ეკლესიაში- ყანდურები, ბიზნესში მონოპოლისტები (პოლიტიკა შეერწყა ბიზნესს, პარტია - სახელმწიფოს. სხვა როგორ დაგინდობს, როცა მთავარსარდალი შვილს ომში ვერ გაუშვებს(თავად გადაწვევით), როცა პარტიული ლიდერების აზრით აფხაზეთი- სამახაბლო დამოუკიდებელია „ისტორიულად“ და საქართველოს შემადგენლობაში არც არასდროს ყოფილა, როგორ გინდა დაუჯერო ამათ ქვეყანა უყვართ, რომ ქვეყნის გადასარჩენად ნატოთი უნდათ, როცა 9 წელი ანგრევდნენ მას, დე-

მოკრატიას და პროდასავლურობას ამოფარებულები თავიანთი მედიით. ბინძური თავისუფალი სიტყვით, რმელიც როგორც ზონდერ-ტელევიზია იცავდა და იცავს სააკაშვილის რეჟიმს, როგორც ორგანიზაცია, და ახლა სამწუხაროდ, ლამის მთელი პარტიული „ელიტა“ დადგამის დასაცავად, მართლა ასე ბნელა, ვეღარ გაგვიჩვენია დემოკრატის შუქურა დემოკრატის მესავლავისგან. სააკაშვილი და მისი ბანდა მერაბიშვილის მეთაურობით ისე რომ შეესია დამოუკიდებელ გაზეთებს და ბლდვირი აღინა, არადა თუ „რუსთავი 2“ თავს არ დავანებებთ, (პატრონს დაუბრუნებთ) მერაბიშვილს როგორც პოლიტიკურ პატიმარს არ გავანთავისუფლებთ

საფრთხეში ჩავაგდებთ დემოკრატიას, არც არჩევნები ჩაითვლება დეგიტშიურად, დემოკრატიულად-თითს გვიქნევს ბუბერი ვეროპა, აშშ ხომ თავისი ელჩით შეტევაზე გადმოდის, გამოდის სააკაშვილის ხელით ანგრევდნენ ქვეყანას, მაგათ პასუხი უნდა ავონ ქართველი ხალხის წინაშე, ეს არის ფარული გენოციდი



ერისა, რომელსაც ამათი ხნის მსხალი უდგას ეზოში? დანაშაულებრივი ტელევიზიის მხილება დემოკრატის უარყოფაა, თუ მკვლევებს გულში ჩავისუტებთ მაშინ ვუნდივართ ევროპასს, არა, ჩვენ არ გვინდა ასეთი ევროპა, ეს არ ნიშნავს გვინდა თუნდაც ერთმორწმუნე, დამპყრობელი რუსეთი, თუმცა, ისიც ევროპა არაა (დოსტოევსკი, ტოლსტოი...), განა რუსეთს არ ჩააბარა სააკაშვილმა ლამის მთელი საქართველოს ქონება, რომ არაფერი ვთქვათ „ომით“ მითმეულ ტერიტორიებზე, აი, ასეთი დილემის წინაშე დგას დღეს საქართველო-არჩევანიც არ დაუტოვებს ცუდსა და უარეს შორის. საქართველოს ხსნა ეროვნული ძალების კონსოლიდაციაშია, საზოგადოება ნიჰილიზმმა შეიპყრო, იგი უნდა ჩაერთოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ერთად უნდა მოვქმნოთ გამოსავალი ამ პოლიტიკური აბლაბუდიდან, არ დაუშვათ ახალი კომპიტიაცია, რაც იქნება ქვეყნის დასასრული დემოკრატის ეგიდით და ამას ხელს უწყობს გაუგებარი პრეზიდენტი, რომელმაც ერს დებილი უძახხა და ბოკერეის ხედება, როგორც ოპოზიციას, ამას ხელს უწყობს გამყიდველი პარტიები, „რუსთავი 2“ მკერდით რომ იცავენ.(რადა სააკაშვილი დაგვიცავს?). ამას ხელს უწყობს სოროსის ძუძუ-ნაწოვი არასამთავრობოები, ოღონდ

ფული აკეთონ, რას არ იკადრებენ, ამის თქმაც გუხერხულება, სააკაშვილის და ამ უბედურების მოცილება გახდა ერის ბედნიერება და სანამ ვიცხოვროთ უბედურების ბედნიერებით. მთელი ქვეყანა ერთ კაცს ჩამოეკიდა, რომელმაც მართლაც თავი გადადო და ეს ურჩხული მოგვაცილა, არადა შეეძლო გვერდზე გამდგასრიყო, როგორც სხვები და ამ უბედურებისთვის ისერიდან ეცქირა, წარმოიდგინეთ, ისევე სააკაშვილის ბანდა რომ დარჩენილიყო ხელისუფლებაში ასე ინავარდებდნენ პარტიები, პოლიტოლოგები, ექსპერტები?

ცხადია, „ოცნება“ როგორც პარტია ბოლომდე ვერ შეკრა, რამეთუ არ ელოდა ამდენ ფარისევლებს, ახლა რომ აგინებენ და ლამის დიქტატორად გამოყავთ, კაცი, რომელმაც მოიყვანა ისინი ხელისუფლებაში. რა ქნას „თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა“.

შეცდომებიც დაუშვა მისთვის უცნობ პოლიტიკურ გზაზე (ასეთი პოლიტიკური ბატალიაები ვის არ დააბნევს) ხათრით აგვარჩევინა პრეზიდენტი, მინისტრთა ნაწილმაც არ გაამართლა, დაპირებებიც მთლად ისე ვერ არის-უჭირს ხალხს და სახელდარგარეთ გარბის არადა, „საქართველოვ შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“... თუ ასე გაგრძელდა მალე უსაფლავო ქვეყანა შეგვრჩება, როგორც ბიბლიაში წერია „სამშობლო იწყება არა მაშინ, როცა ადამიანები იბადება, არამედ როცა კვდება, სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება“... არავიუნ დაობს რომ კოალიცია - კონგლომერატი აფერხებდა ქვეყნის განვითარებას, განსაკუთრებით „ნცები“, ახლა ამათგან განთავისუფლდა „ოცნება“, ივანიშვილი მხარდაჭერას ითხოვს, რათა წინ წავიდეს ქვეყანა, მაგრამ ხალხს უჭირს ამის დაჯერება, დაიდალა ხალხი ამდენი დაპირებით, -ნატო, ევროკავშირი,-(რომელიც დიდ ბრიტანეთმა დატოვა და რაღაც წვენ ვიკლავთ თავს), ამის გამო აქეთ რუსი არ გვეშვება და არც არავინ ცდილობს მასთან მოლაპარაკებას, იქნებ ნეიტრალური პოზიცია დაგვკვირა, თორემ ორ ვეშაპს შორის ისე გავისრისებთ და გავექრებით პოლიტიკური რუქიდან, არავინ იქნება ჩვენი მომკითხავი, არადა საქართველოს დიპლომატიას ამის თავიც არა აქვს ეცადოს, პოლიტიკური სიტუაციების სათავისოდ გამოყენებას. არადა, არიან ქვეყნები-სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ყაზახეთი... გვერდი აუარეს ამ პრობლემას-რუსეთი ძალით გვიტევენ, აშშ დემოკრატის თავისუფლებით- ადამიანთა უფლების დაცვა თურმე პედარასტობა და ლესბოსელობა, ერთსქესიანთა ქორწინება ყოფილა, მაშინ რაღაა ეროვნული ფენომენი, რწმენა, ტრადიციები, ისტორიული მემკვიდრეობა, კულტურა, ქართველი კაცის უნიკალური ხასიათი - გაუგებარი სიტუაციაა საქართველოში-თითქოს დამოუკიდებელია ქვეყანა, დამოკიდებულება ხელისუფლება ცალკე-აშშ, ცალკე ივანიშვილი და ცალკე ხელისუფლება, ცალკე კიდევ 200 პარტია!. არადა ქვეყანა ერთია!

არჩევანი ჩვენზეა-სად არის საშველი, ღმერთმა ნუ ქნას კვლავ გვეთქვას გავალიწონის სიტყვები: „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“.

ზურაბ აბრალავა
გაზეთი „საქართველოს ჩინუბლიკა“
საქ. ქორ.
გაზეთი „ნიკოლაის გზით“
რედაქტორი

ნახარბიერი ისტორია



იბერია შტრი გზიდან მოვლივართ



თანამედროვე მეცნიერების გამოკვლევები იბერთა ეთნოგენეზის შესახებ, სათანადოდ არ არის შესწავლილი, მისი სრულყოფილებისათვის დღემდე არ არის ჩაოყალიბებული აზრი ვინ იყვნენ იბერები და რომელ ენაზე საუბრობდნენ ისინი. ამ კუთხით, თითქმის ყველა მკვლევარი შეგნებულად არიდებს თავს, თუ არადა, ეს არის მთავარი, არსის საწყისი, ჩვენი წინარეისტორიის სრულყოფილად წარმოჩენის, რაც სამყაროში დიდი ხნის უკან დაგროვილ ყველა კითხვებს უპასუხებდა, რომელიც დღემდე პასუხგაუცემელია, ასევე თავის ადგილს მიუჩენდა ჭეშმარიტი ისტორიის ყველა გამყალბებელს, რომლებიც დღემდე ისტორიის მამებად და უდიდეს კორიფეებად არიან მიჩნეულნი.

დიას, არაფერია დედამიწაზე ისე აშკარად და უხეშად გაყალბებული, როგორც ისტორია. განსაკუთრებით ისტორია იბერიებისათვის არ მაქვს უფლება უდიდესი პატივით არ მოვიხსენიო მცირე, მაგრამ ჭეშმარიტებისაკენ გზამკვლევი მეცნიერები, რომლებმაც გაცოცხლეს და წინა პლანზე წამოსწიეს იბერიული რასის კულტურა, რომელიც დასაბამია მაღალი ცივილიზაციისა. მათი წყალობით გავცანით ჩვენი ერის წინარე იბერიული მოდემის ისტორიას, რასაც ასე შეგნებულად ჩქმალავენ დასავლეთის „დემოკრატები“. თუმცა, მსოფლიო ხალხთა კულტურისა და მათი ისტორიის დამცველებად გვევლინებიან. სინამდვილეში ყოველგვარი ეროვნული სულის გამოვლინებას სასტიკად უსწორდებიან. რისი არაერთი მაგალითი მსოფლიოს ახსოვს, მათ შორის საქართველოს, ამ „დემოკრატების“ მწვანე შუქის ანთებით რუსეთის ბოლშევიკურმა კომუნისტურმა რეჟიმმა, ეროვნული სულის გამოვლინების წინააღმდეგ, სისხლში ჩაახშო ქართველი ერის ღვთით ბოძებული სულიერი მოთხოვნილება - თა-

ვისუფლება, დაამხო ეროვნული ხელისუფლება და ფიზიკურად გაუსწორდა ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. ადამიანების წინააღმდეგ წადენილ დანაშაულებს დასავლეთის დემოკრატებმა სრული დუმილით უპასუხეს.

როგორ ტყუპისცალივით გვანან ერთმანეთს მარქსისტული და „დემოკრატიის შუქურად“ წოდებული დასავლეთის სახელმწიფოთა მოქმედებები, ეროვნული სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც თავიანთი ისტორიული ფესვების აღორძინების კვალდაკვალ ისწრაფვიან თავისუფლებისაკენ და ამკვიდრებენ ხალხთა შორის მშვიდობას და თანასწორობას. ეროვნული კულტურის და მისი ისტორიის დაცვის პრინციპით, რასაც ასე დაუნდობლად 200 წელზე მეტია ებრძვის რუსეთის იმპერია ქართული სახელმწიფო გენს.აი, რას წერს ამის შესახებ ზვიად გამსახურდიას:

„...საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატურის მრავალწლიანი ბატონობის პერიოდში მრავალი რამ ქართული კულტურის ისტორიაში იყო მიჩქმალული, დამახინჯებული და ტაბუირებული“. „...ამასთან დაკავშირებით დიდი კამპანია იყო გაჩაღებული ქართველი მეცნიერების იგ.ჯავახიშვილისა და ნიკო მარის წინააღმდეგ. ასევე მიჩქმალულია დასავლეთის მეცნიერების გამოკვლევები იბერთა ეთნოგენეზის სფეროში, როგორც არის ვილჰელმ შუმპლერი და სხვანი. ეს იმის გამო ხდებოდა, მეგობრებო, რომ ქართველი ერისთვის შთაენერგათ არასრულფასოვნების კომპლექსი. საბჭოთა მეცნიერებამ, კერძოდ მაქსიმ-ლენინის მიხედვით კლასიკოსებმა შექმნეს თეორია იმის შესახებ, (არსებობს სტალინის თეორია) რომ თურმე ქართველი ერი, როგორც ასეთი, შეიქმნა და ჩამოყალიბდა ერთად მე-19 საუკუნეში, რომ მანამდე იგი არც ყოფილა და არც არსებობდა. (შენიშვნა: „სიზმარი და მოვლილი ყოფილა იბერიული სამყარო.“) მე-19 საუკუნეში ჩვენში შემოვიდა კაპიტალიზმი და ვითომაც ამან განაპირობა ქართველი ერის ერთად ქცევა. ეს არის მარქსისტული თეორია, რომელიც დღემდე ბატონობს და რომელიც ზოგიერთ ჩვენს მეცნიერს დღემდე არ მოუცილევ-

ბია თავიდან და კვლავ ამ მიმართულებით აგრძელებს მუშაობას“. (საქრთველოს სულიერი მისია 2 მაისი 1990 წელი).

მართალია, დასავლური და მარქსისტული იდეოლოგია პრინციპულად ერთმანეთისგან განსხვავებული იდეოლოგიაა, მაგრამ რაც მათ ერთმანეთს დააკავშირებთ ერთმანეთს, ის არის, რომ მათთვის ყოველად მიუღებელია ეროვნულ სახელმწიფოთა იდეოლოგია. დასავლეთი, თავიდან, ცოტა „სიფრთხილით ეკიდება ეროვნულ საკითხებს, ისიც გარკვეულ ზღვრამდე, შემდეგ კი ეს დემოკრატები უფრო სასტიკები ხდებიან ვიდრე კომუნისტები. აი, ამ ძალებს შემდგომ მოჰყავთ თავიანთი ვასალები და ამკვიდრებენ ეროვნულ სახელმწიფოებში კოსმოპოლიტურ აზროვნებას, რის შემდეგ ადვილად მიღწევადია საკუთარი ისტორიის დავიწყება, რაც 1992 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოში საგრძნობლად შეიმჩნევა. მიმდინარეობს ჩვენი ერის სულის დეგრადაციის პროცესი, რამაც მოსახლეობაში აშკარად იჩინა თავი. საკუთარი ფესვების მიმართ, მხოლოდ ზედაპირული დამოკიდებულება მთავარი მოთხოვნილება ყოფილ ცხოვრებას და მის ფიზიკურ გადარჩენისათვის ბრძოლაზე აქვთ მიქცეული. სხვა გზა ქართველს არ დაუტოვეს. ობიექტურობისათვის, ერის დაცემის მიზეზი მარტო მომხვედრი როდია, შეიძლება ითქვას მთავარი მიზეზი ჩვენი დაბად სულიერებაშია, რომელსაც დაცემის მრავალი განშტოება აქვს. (რისი ჩამოთვლაც ძალიან შორს წაგვიყვანს). რამაც ხელი შეუწყო ჩვენი ისტორიის აშკარა გაყალბებას და რაშიც ასევე გარკვეული წვლილი ქართველ მეცნიერებსაც მიუძღვით, ვისაც არ აწყობს იბერთა ეთნოგენეზის შესახებ ობიექტური სინამდვილე იცოდეს ქართველმა ხალხმა.

„იბერია წარმოსდგება ძველი მეგრული ენიდან, თავად ტოპონიმი განიმარტება შემდეგნაირად: თავსართი -ი ნიშნავს -ის; ბერი კი, ღვთის მორწმუნეს; იბერია დასახლებულ ადგილს, ტერიტორიას, იბერიული რასისას, რაც შეეხება ბოლოსართ -იას-ს იგივე აია, ნიშნავს პირველს, გაბრწყინებულს, მაღალი ცივილი-

ზაციისა და კულტურის ხალხს, რის შესახებ სრულიად დიად აცხადებს გერმანელი მკვლევარი და მეცნიერი ვილჰელმ შუმპლერი, რომელიც ბასაკური ენის კვლევის სფეროში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის აუზის, ეგეოსის აუზის, ბალკანეთის, საბერძნეთის, ინდოეთის, მცირე აზიის, პალესტინის და კავკასიის პირველი ავტოქთონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა, რომელსაც ქონდა ერთი ენა და მრავალი სხვადასხვა განშტოებანი“. და ეს ენა, მეგობრებო, იყო ძველი მეგრულ-ლაზური და რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ჩამოთვლილ ტერიტორიებზე დღემდე შემორჩენილი მეგრული ტოპონიმების არსებობა. მნიშვნელოვანი მიგნებები აქვს ასევე რისმაც გორდებიან „ილიადაში“, იბერთა ეთნოგენეზის შესახებ, მოსხენებულ ტომთა შორის გამოკვლევისას. სამწუხაროა ის, რომ ამ მიმართულებით არ მიმდინარეობს მასშტაბური მნიშვნელობის კვლევები და ასევე არ ხდება მისი პოპულარიზაცია. მიზეზი მრავალია, ერთ-ერთი კი სახელმწიფოს მხრიდან სრული ინდეფერენტულობაა თავისი წარსული კულტურისა და ისტორიის მიმართ, ასევე გარკვეული ნაწილი მეცნიერების დაბალი ცოდნისა და დასავლეთისთვის მიუღებელი იბერიული რასის, მისი ჭეშმარიტი ისტორიის მიჩქმალვის პროცესისადმი დუმილი, რომელსაც არც დღეს და არც მომავალში გამართლება არ ექნება. მხოლოდ მცირედნი ადგანან ჭეშმარიტების გზას, რომელსაც მიყვავართ წინარე ქართულის საწყისთან - პროტო იბერიულ სამყაროსთან, პირველად ცივილიზაციასთან, რომელსაც მაღალი სარწმუნოებრივი ცნობიერებით რჩეულ კაცთა მოდგმა დემერთამდე მიჰყავს.

ნიკოლოზ იბერი
17 მაისი 2016წ.
(გაგრძელება იქნება.)

„ნასაბი“ ახიჯიჯიხე
იხიჯიხე ნიხიჯიხე

ყვედას, ყვედას, ყვედას!

ვისაც გადევნებთ და გაინტერესებთ მცირე და დიდი სახელმწიფოების მომავალი შეგახსენებთ, რომ წელს საქართველოში, დედა-მიწის ამ მცირემაშტაბიან და მცირერიცხოვან სახელმწიფოში არის პოლიტიკურად უმნიშვნელოვანესი წელი. ჩვენმა ერმა, რომელმაც წინა არჩევნებზე უარი უთხრა ტირანიას, ძალმიმრეობას, ადამიანის უფლებების ცინიკურ შელახვას, სახელისუფლებო ორგანოებისა და უმაღლესი თანამდებობის პირების აბუჩად აგდებას ოქტომბერში უნდა გააკეთოს არჩევანი. მომალადეთა და ძალადობის მობრუნებასა და ქვეყანაში ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრება მშენებლობას შორის. ამას რხენი ფაქტია, რომ ამ ძალადობებს და ტირანიას ჩვენი ქვეყნის გარედანაც (არა-

მარტო შინ) ყავს გულშემატკივრები. მაგალითად: ევროპის სახალხო პარტია, რატომღაც „საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მისი ბელადის სააკაშვილის უსაფუძვლო მხარდაჭერითა და გულშემატკივრობით გამოირჩევა, რომლებმაც დემოკრატიის და კაცთმოყვარეობის მანტიის შებურვილებმა ხმაც არ ამოიღეს 26 მაისის უსასტიკეს და უბინძურეს მოვლენათა ავტორების მხილები-სათვის. ეს დღე მხოლოდ მსხვერპლთა რაოდენობით ჩამოუარდება 1989 წლის 9 აპრილს. ოღონდაც მაშინ ყველამ იცოდა რომ პატარა საქართველოს ძალით დაუპირისპირდა უზარმაზარი საბჭოთა იმპერია, 26 მაისს ქართველების წინააღმდეგ აღსდგა ბრიყვი „ნათესავი ჩვენი“, რომელმაც ჩვენი

დარბევა აწიოკება და მკვლელლობა მხოლოდ იმ მიზეზით დაგვემა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სტომაქებს, უკანონოდ ამოსაყორის შემცირება დაემუქრა, კაცთა მოდემის ამ მტრების „დიდი ბელადი“ უკრაინიდან უღერებს მუშტებს ჩვენს ერსა და ქვეყანას, მის ამ ქართველთმოძულე ლაქიებს, არა-მარტო სურთ არჩევნებში ჩაერთონ, არამედ ხელისუფლებაში მოსვლა-საც გვეგმავენ და უცხო ქვეყნების სახეებიც აამხედრეს ჩვენი ხელი-სუფლების და ხალხის წინააღმდეგ, აქაოდა თავისუფალ მედიას ვესარჩლებითო „რუსთავი 2“-ის სახით?! სად სიტყვის თავისუფლება და სად ეს სიცრუისა და სიბინძურის „ნაცნობის“ მტრული იდეების რუპორები. ხელისუფლების უნი-ათობის მკიჟინებელი „ნაცებიც“

კი ნაწილობრივ მართლები არიან ამას რომ ამბობენ, რამეთუ სააკაშვილი, ბოკერია, თარგამაძე, გაბაშვილი, და ერის სხვა მტრები, რომ დღეს კბილებით არ ხეხავენ ციხის საკნებს. ეს ფაქტი სწორედაც შეიცავს უნიათობის ელემენტებს!!! და რაკი ეს ერის და ქვეყნის მტრები პირადი მოსაზრებიდან გამომდინარე ბატონ ბიძინა ივანიშვილს თავიანთ მტრად მიიჩნევენ. გამოდის, რომ იგი საქართველოს და ქართველი ერის აშკარა მტრებისთვის მიუღებელია. ჩემი ერი სიყვარულითვე უპასუხებს ოქტომბრის არჩევნებზე!!! სწორედ ესაა, რომ აყვებთ „ნაცებსაც“ და მათ გულშემატკივრებსაც.

გამსარიონ ფოთელი.
30 ივნისი 2016 წელი

ღაკით ეხებუა -60

ფაზისი აკადემიამ იუბილარს უფლის დიდებული სატი გადასცა



„წლები ჩემი სიმდიდრეა“-თამაზად შეიძლება თქვას ჩვენმა დიდმა იუბილარმა, ბატონმა ღაკით ეხებუამ, საქართველოში კარგად ცნობილი გვარის შთამომავალია. მართლაც გამორჩეული და საამაულო მისი ოჯახის განვლილი გზა დღითიდღე, რწმენით, ზნეობრივი სისპეტაკით ქართულ-შევრული ტრადიციების დაცვით, თავისი მხარის სიყვარულით, ღირსების წარმოჩენით, იმ მხარისა ერთ დროს კოლხეთი რომ ერქვა და მსოფლიოს ცივილიზაციის სათავედ ითვლებოდა, წარსულის პატივგება დიდი მოვალეობაა-ვალაია, იგი გვეხმარება საკუთარი მისიის, საკუთარი თავის შეცნობაში, რა გზიდან მოვიდვართ, საით უნდა წასვით მომავალში. ერთი, რომელიც პატივს არ მიაგებს წარსულს -კვდება. ერთ თავისი ისტორია იცავს. ბატონი ღაკით ამ ისტორიის ერთ-ერთი მუბაირახტრეა. „ფაზისი“-ს საერო-სამეცნიერო აკადემიის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე-არაერთი დონისიების ინციტორია, არაერთხელ მიგვიწვია სამეგრელოს გულში-ზუგდიდში, რომელსაც დღითიდღე უღამაზესი მშენებარე ტაძარი ამშვენებს. „ფაზისი“ აკადემიამ, მისი პრეზიდენტის, ბატონ ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ტაძარს ბიჭვინთის დღითიდღის ვირფასი ხატი, სადაც ასევე გამოსახულია წმინდანები ცოტნე დადიანი და ექვთიმე თავაიშვილი შესწირა, რომელიც მუფუგ გერასიმე აკურთხა და თავის დიდებულ ქადაგებაში ასე მოგვეფერა ფაზისელებს-კვლავაც გაბრწყინებული და დამშვენებული გვხვდება სადადიანო, აქ ხომ დღითიდღის კვართი განისვენებს და 15 ივლისს ვლადკერობაზე აქ სრულიად საქართველო ამოვა ნიშნად სულიერი ერთობისა და ძლიერებისა, ქართველთა გამარჯვებისა. სიყვარულით გვეგებება გულია მას-

პინძელი ღაკით ეხებუა მამა-პაპურ ძირძველ სახლში. აქ არიან იუბილარის მეგობრები, ახლობლები, მეზობლები, რაიონის ხელმძღვანელები. ბატონი ღაკითი ზუგდიდის არქიტექტურის სამსახურში მოღვაწეობს. დიდი და საინტერესო გზა აქვს გაველი. 60 წელი -მართლაც გამორჩეულია ეს დღე. რამდენი რამ შეიძინა, რამდენი სამაღლობელი და ჯილდო ერის სამსახურისათვის, რამდენი უძილო ღამეები, მაგრამ არის კმაყოფილება ვალდებულების გამო, კაცურად განვლილი გზის გამო, რომელსაც უკან მოხედვის არ უშინია.

ბატონი ნუგზარ ნადარაია, დიდ საჩუქარს - დღითიდღე გადასცემს იუბილარს, რომელსაც გამორჩეულ ადგილას დააბრძანებენ. ხატი, რომელზეც უფალტან ერთად გამოსახულია სვეტიცხოველი, კარვში დღითიდღე კვართი და იქვე ქვეყნისთვის მლოცველი ერის სულიერი წინამძღოლი და იმედი ილია მთერადამაშენებელი, ასლია სამების დიდი ტაძრის ხატისა.

ქართული სუფრა აკადემიამ, კიდევ



ერთხელ დაგვარწმუნა ამ ჭეშმარიტებაში ბატონმა ნუგზარმა, როგორც ორატული მიიღების ოდაბადისკენ, მივექნებით ისტორიის ლაბირინთებში-შეგახსენა დიდი ილიას, აკაკის შუგონება სამეგრელოზე, ძმობაზე, ერთობაზე. ერთხელ კიდევ შეგახსენა ვლადკერობის ღამეებში, იმ დღითიდღე ვიდაც და დღის საქართველოში, ვიდაცა კვენისი და მაინც იმედი ხვალისა, რომ საქართველო გაბრწყინდება, მზიანი, ხალისიანი

დღეები შეცვლის დარდიანს. ესეუბების დიდებული ოჯახი იმსახურებს ამ დიდ საჩუქარს, დღითიდღე გადმოვა მასზე. ბოლო დროს დიდი ტკივილი გადაიტანა სამეგრელოში-„საქართველოს ხერხემაღლა“, როგორც დიდი ილია უწოდებდა. კოლხეთის ისტორიის კვლევა როგორც საქართველოს წინარე ისტორიის აკადემიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა და მავანს არ ასვენებს ნაცარმიყრილი ათასწლეულების გამოშვებებს, თითქოს კოლხეთი საქართველო არ იყოს, უფრო მეტიც - მსოფლიო ცივილიზაციის სათავე.

დღედაღაქიდან ჩვენი სასიქადლო პოეტი, დიდი მოქალაქე, ნაღდი პატრიოტი კაცი ვახტანგ ხარხილაძე შეგვხვამიანა. „ფაზისის“ აკადემიის წამდვილი წევრი, ბევრი ტკივილიანი ღექისა და სტატიის ავტორი, მხოლოდ ქვეყნის ერთიანობა, ძმობა და სიყვარული რომ ამოძრავებს და სამწუხაროდ სეპარატიზმად რომ ელანდება მარტოვე კატეგორიებით მოაზროვნებს. შეუღლდა და მტრობას რომ ავივებენ ნებსით თუ უნებლიედ.

გავგიჟებდა დაშორება ამ უღამაზეს ადამიანებთან, ტრადიციულ ოჯახთან, 91 წლის დედა ნათელა გულით გველოცავდა, მედღეღე მანანა თავს გვევლებოდა, შვილი დათო ატენურს არ გვაკლებდა, პატარა გოგონებიც დიდი ქალბავშვიტი გვიმასპინძლებდნენ და სუფრას „აკონტროლებდნენ“- ააი, გენი რას შევბა“.

იყო სადღეგრძელოების შეჯიბრი სამშობლოს სიყვარულზე, მეგობრობაზე, ქვეყნის სულიერ მისიაზე, უნდა ითქვას, რომ ბატონი ნუგზარ ნადარაია ასეთი დონისიებებით დიდ საქმეს აკეთებს. კვლავ დიდი სიმდიდრე ხომ ადამიანებს შორის ურთიერთობაა. კიდევ ერთი დიდი ხიდი გაიღო ზუგდიდსა და ფოთს შორის შევბა“.

რის. იქვე გურია გველოდება, აქვე -რაჭა, შერე კახეთში ჩავაბრძანებ დღითიდღე-ბლის ხატს, ღმერთი გვაერთიანებს და ეშმაკი გვეოფს, არჩევანი ჩვენზეა! ჩვენ გზა უნდა გავუკაფოთ ახალგაზრდობას დიდ დღითიდღე გზაზე.



ფოთელების დღეგაცაიას დედაქალაქიდან შემოგვიერთდა ალექო დოღბაია-ერთიანი კაცი, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, აკადემიის პურნალ „ცოტნედიდის“ ერთ-ერთი გამომცემელი, სულის ჩამდგმელი, ჩვენი მარჯვენა ხელი, პურნალი ავტორიტეტს იხვეჭს მთელ საქართველოში თავისი დიაპაზონით, ხედვით, მიხეებით.

საიუბილეო სუფრას ამსვენებდნენ ფოთელები, აკადემიის წევრები ბატონები: რამაზ ქორქია, ვაგნერ და ელდარ მხეიხეები, ჯემალ მიგინეიშვილი, ბეჟან ჯალაღანია, ჯონი გურგენაძე.

ასე ვაგაბრეთ ერთი ღამაში დღე ესეუბების ოჯახში, დავლიეთ ჩვენი ხელისწამორთმევისა და მომავალი შეხვედრების სადღეგრძელო. მალე შეხვედრებით ერთმანეთს ვლადკერობაზე. დავ, დღითიდღე მადლი ფარავდეს ესეუბების ოჯახს, ზუგდიდს-ოდიშს და სრულიად საქართველოს.

როგორც ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ თქვა, აკადემიის პრეზიდენტმა დააყენებს საკითხს-შუამდგომლობის სახით ზუგდიდის ხელმძღვანელობის წინაშე ბატონ ღაკით ეხებუას საპატიო მოქალაქედ არჩევის თაობაზე. ამ წინადადებას სტუმარ მასპინძლები დიდი ოცადიებით შეხვედრით-არაფერია იმაზე დიდი დანიახო და შეაფასო ადამიანი თავისი დღეწლის გამო.

ზ. აბრალავა

მიღოსვა



საქართველოს უპირველესი სიმდიდრე-ქართველია, თავისი განუმეორებელი ხასიათით მოყოლებული უძველესი კოქიდან. მან დროს გაუძლო, მაგრამ დადგა ფიზიკური არსებობის საშიშროება, - ინგრევა ოჯახები, ქართველები - უფრო დედები ტოვებენ ქვეყანას, არადა „ვინა თქვა უფედოდ გაზრდა შვილისა კარგისა“. მოკლედ, ვერ მოვუარეთ ჩვენს ქალებს.

დღევანდელ დემოგრაფიულ საგანგაშო ფონზე ქართული ოჯახის შექმნა მრავალმხრივ გასახარია-ახალი ურთიერთობები, ახლობლები, მეგობრები, ნათესაობა, მონატრებული შეხვედრები...

შედა კიდევ ერთი დიდებული ქორწილი ნინო აბრალავასი და გიორგი ლეკიშვილის, რამდენ რამეს გვეუბნება წმინდანების სახელები, რამდენს გვაჯავადებულებს, რწმენას, ქართველობას, ოჯახის ბოლომდე გატანას, შვილების აღზრდას. თავი და თავი მაინც კაცია, პატრონი სტირდება ყველაფერს. ქალი იმი-

ნინო აბრალავა, ღაკით ლეკიშვილი „ღმერთო, ღაკუნეჩე ჯვარია“

ტომ გაჩინა ღმერთმა, რომ კაცი უყვარდეს, კაცი კი იმიტომ, რომ ქალი გააღმერთოს. უნებურად გახსენდება სტრიქონები, „მე რა ღირსი ვარ შენი მშვენიერის“, ეს მხოლოდ ქართველს შეუძლია თქვას, ქართული ქორწილი დიდი სპექტაკლია, და, სწორედ, ასეთი დღესასწაული მოგვიწევს ლეკიშვილებმა ღაკუნეში, რესტორან „სამეფოში“ ისინი თბილისში ცხოვრობენ, მაგრამ არ ივიწყებენ ადგილის დედას.

მანამ იყო ჯვრისწერა გრემის მთავარანგელოზის ეკლესიაში. სუფრას განსაკუთრებული ელფერი შესძინა მაყრიონმა, მშობლების ინგა და ზურაბ აბრალავების პატივსაცემად ჩამობრძანებულმა „ფაზისის“ აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ, აკადემიის წევრებმა-ბატონებმა ვაგნერ მხეიძემ, ჯემალ მიგინეიშვილმა, გოგი გავუამ.

ბატონმა ნუგზარმა დღითიდღე-ბლის საკმაოდ მოცულობითი დღითიდღე გადასცა საჩუქრად ნუფე-დღე-დღეოფალს, დალოცა და უსურვა რწმენით, სიყვარულით, ურთიერთგაგებით განვლონ წუთისოფელი და მისცენ საქართველოს მომავალი შთამომავლებს.



სუფრას ამშვენებდნენ გიორგის კოლეგები, მეგობრები საფინანსო-სავადასახალო სამსახურების ხელმძღვანელები რეგიონებიდან.

ბევრჯერ გავგივია ქართული სუფრა აკადემიაში, ითქვა დღითიდღე სადღეგრძელო, დედა ეკლესიის და მისი საჭეუბნეობის სადღეგრძელო, რომელიც ასე იცავს ოჯახურ ტრადიციებს, მის სიმტკიცეს, ისაა ქვეყნის ციტადელი-ოჯახი და სახელმწიფო ერთი ფენომენია, ორივეს პატრონი ჭირდება, ყველა პარამეტრით.

ბრწყინვალე თამადა, ბატონმა ბადრი სამარგულიანმა, ღამის პოეზიის სადამოდ გვიქცია ეს დიდებული სუფრა, მას არც სტუმრები ჩამორჩნენ. გავისხენეთ ძველი და ახალი, დავლიეთ წინაპრების შესანდობარი, ვადღეგრძელებთ შვილები, რომელთაც უნდა იცოდნენ სად გაჩერდნენ მამები, რომ იქედან გააგრძელონ წინსვლა.

მეორე დღეს მამა-პაპის ოჯახში, დიდებულ სახლ-კარში, გაიშალა სუფრა, ოჯახის უფროსები-დედამამა მათა გოზალიშვილი და დავით ლეკიშვილი თავს ეველებოდნენ სტუმრებს. დიდი ბებიაც, დიდი ქალბატონი ედილია ლეკიშვილი ჩვენთან ერთად ინაწილებდა ამ დიდ სიხარულს - დღე-ღამისილი პირიყვანება, დიდი დასტაქარი, თაობათა დამკვალისებელი, აღმზრდელი. დანახა მომდევნო შეხვედრების

გეგმები, ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ „ფაზისის“ აკადემიის სახელით დღითიდღე-ბლის ხატის ჩამობრძანებას შეპირდა მასპინძლებს, რომელსაც დღითიდღე-ბლის საკათედრო ტაძარს გადასცემენ.

ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ დღითიდღე სასწაულის შედეგია, ჩვენ განცვიფრებული ვართ მისი ხარისხით და იყო მასში რაღაც დღითიდღე. ყველაზე დიდი სიმდიდრე ადამიანებს შორის ურთიერთობაა, ახალი სახეები, ახალი ადამიანები, კეთილი, ალალი, სტუმართმოყვარე, განათლებული, დღითიდღე, რაც მთავარია, „ეს ჩვენს



ხელწამორთმევას გაუმარჯოს“. დაილია კიდევ ერთი სადღეგრძელო, -გმორდებით იმ იმედით, რომ კვლავ შეხვედრებით ერთმანეთს, იქნება ძეობა და სიხარული, რომ ქართველობა არ გადაშენდება. ერეკლეს ქვითინი ჩაგვესმოდნა თითქოს, იგი კვლავაც გააღვიძებს და დაავიქცებს სრულიად საქართველოს- „სამშობლო როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“...

გზად გორში, მეგობარს შევუარეთ, ცნობილმა ბიზნესმენმა ზვიად ზამბახიძემ გვითამადა და ყველაფერი თითქოს თავიდან დაიწყო. შემოგვაღადა, ისევე ქვეყანაზე ფიქრი და დარდი, საით მივდივართ?...

დიფერენციალური აქცია „ცოცხალი ნიგნები“ ფოთის ცეკარში

მიმდინარე წლის 23 ივნისს საქართველოში არსებულმა ორგანიზაციამ „ცოცხალი წიგნი“, რომელსაც ხელმძღვანელობს თვალსაჩინო ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი ქეთი დუმბაძე ფოთის ეროვნულ პარკში ჩატარა აქცია, სადაც თავი მოიყარა ფოთის ინტელიგენციამ.

პროექტის მიზანი იყო ქართული წიგნის პროპაგანდა, წიგნის ავტორებმა თავიანთი შემოქმედება გააცნვეს ფოთის საზოგადოებას. რომლებიც თავად კითხულობდნენ ამონარიდებს თავიანთი ნაწარმოებებიდან. დიდი შთაბეჭდილებები დატოვეს ავტორებმა - შორენა ლეონიძემ, შარლოტა კვანტალიანი, ამირან არაბულმა, მანანა დუმბაძემ, ეთერ თათარაიძემ და სხვებმა, რომლებიც დადიან სხვადასხვა რეგიონებში და ეწვევიან 21 საუკუნის ქართველ შემოქმედთა პროპაგანდას და წიგნების გავრცელებას.

აქციას წითელ ზოლივით გასდევდა საქართველოს დაკარგული ტერიტორიების თემა. მანანა დუმბაძემ გაიხსენა თუ რა მეგობრობა და სიყვარული აკავშირებდა ცნობილ ქართველ მწერალს ნოდარ დუმბაძეს აფხაზ მწერლებთან, რომელიც ხშირად ისვენებდა სოხუმის ზღაპრებში. განსაკუთრებით შთაბეჭდილებები იყო პოეტ ეთერ თათარაიძის გამოსვლა, რომლის პოეზია თუშურ დიალექტზეა შექმნილი. უიშვიათესი შემთხვევაა, იგი არასოდეს დალატობს თავის არჩეულ გზას. მისი პოეზიის ენა კვლავ რჩება სალიტერატურო ენისგან განსხვავებული დიალექტი, როგორც ერთერთი საშუალება მისი ფიქრების, განცდების,

წუთისოფელთან საკუთარი დამოკიდებულების გამოხატავად.

ეროვნულ პარკში არსებული ოქროს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოლხეთის ენდერული ჯიშის ხეების რელიქტებში, სასიამოვნო გარემოში ჩატარდა ეს ღამაზი ღონისძიება. არც ჩვენი თანაქალაქელები დარჩენილან ვალში, რომლებმაც თავიანთი აზრი და მადლიერება გამოხატეს 21 საუკუნის ქართველი მწერლებისადმი.

ფოთის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი მაგდა გუგუშვილი სიტყვით მიესალმა შემოქმედ ავტორებს და წარმატება უსურვა, ხოლო თუშ პოეტს ეთერ თათარაიძეს საჩუქრად გადასცა გამოსვლილ ქართველ პოეტთან გოდერძი ჩოხელთან ერთად გადაღებული საკმაოდ მოდილო, ღამაზ ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათი.

მწერლებს გულთბილად მიესალმა ეროვნული პარკის მეცნიერმუშაკი მანანა ჩიქოვანი, პედაგოგი და პოეტი ზონა მარგველაშვილი, საკუთარი ლექსი წაიკითხა ნიჭიერმა პოეტმა თემურ შერაზადაშვილმა, ხოლო პედაგოგმა ლეიზა ჩხეტიანი საჩუქრად გადასცა სულ ახლახან გამოცემული ლექსთა კრებული „დროის ძახილი“ და წაიკითხა საკუთარი ლექსები.

აქციის ბოლოს მკითხველებმა შეიძინეს მწერლებისა და პოეტების წიგნები. ღმერთმა უმრავლეს ჩენს ქალაქს ასეთი ღამაზი დღეები, რომელიც გაუღვივებს მათ წიგნისადმი სიყვარულს.

ლუიზა ჩხეტიანი

პეტრე-პავლობა დასახალი მართლმადიდებლობისა



ქრისტეს მოწაფეთა - მოციქულთა შორის მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ პატივს ორ მათგანს მიაგებს და მათ თავმოციქულებად სახელსდებს. ესენი არიან - წმ. პეტრე და პავლე, რომელნიც წმ. მღვდელთმთავარი იოანე ოქროპირის სიტყვით „აღმატენ ყოველგვარ ბუნებას მიწიერსა და ზეციურს. ისინი, ხორცში მყოფნი, აღმატენ ანგელოსებს... პეტრე - დასახალი მართლმადიდებლობისა, დიდებული მღვდელთმსახური ეკლესიისა... პავლე - ჭეშმარიტების ჩინებული მქადაგებელი, ქრისტეს ეკლესიის ფხიზელი მესაჭე“.

ზოგიერთი მოწმობით პეტრე და პავლე მოციქულები ერთ დღეს აღესრულნენ მოწამეობრივად, სხვა გადმოცემით - პავლეს სრული ერთი წლის შემდეგ მოკვდნენ მახვილით თავი პეტრეს ჯვარცმის შემდგომ. მათი ხსენების დღესასწაული იმთავადვე დაწესდა, ხოლო დაკრძალვის ადგილი წმინდა იყო პირველქრისტეანთათვის. IV ს. წმ. მოციქულთაწორმა კონსტანტინე დიდმა რომსა და კონსტანტინე პოლში აღმართა ტაძრები წმ. თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელზე.

მიღოცვა ბატონ ბონდო ნასარაიას



ფოთის კოლორიტს, ბატონ ბონდო ნასარაიას შეუსრულდა 70 წელი.

იგი ნაღდი ფოთელია, მისი წარსულისა და მომავლის გულშემატკივარი, კაცი რომელმაც საინტერესო გზა განვლო და ბოლოს განერეულ დროს შეეჭიდა-ნიკოლაძის საათიც აამუშავა. ქალაქში ყველას იცნობს და პატივს სცემს.

დაბადების დღეს გულითადად ულოცავენ მეგობრები, ახლობლები და უსურვებენ დიდი ხნის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ის სანსტახისო

შტრიხები დავრენცი ბერიას პორტრეტისათვის



კრემლევს გააჩნია, 50-იან წლებში გადაამალეს.

1953 წლის 26 ივნისს ბერია საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ოფიციალური ვერსიით, ის დააპატიმრეს და დახვრიტეს. თუმცა დღემდე მისი სიკვდილი საიდუმლოებითა მოცულია. ლავრენტი ბერიას შვილია, სერგო ბერიამ საკუთარი გამოცხადება ჩაატარა, რომლის მიხედვითაც, მამამისი სახელში, ხრუშოვის ბრძანებით ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე დახვრიტეს.

1938 29 ივლისი

არასოდეს ვფიქრობდი რომ დღიურებს დავწერდი, მაგრამ ვიღაცას ხომ უნდა ველაპარაკო. ნინოსთანაც (ბერიას მეუღლე) არ შემიძლია დალაპარაკება. როცა ჩათლახები მართავდნენ საშინელება იყო, მაგრამ კობა ჩემში დარწმუნდა, ძალაუფლება ამომცა და საქართველო ისე წავწვი წინ, აბა ვინმე დამეწიოს ამაში. ყველაფერი დალაპარაკდა და ახლა გადადექი და მოსკოვში წამოდი - ჯანსუყეები დაიჭირეო. ბევრი ხლაფორთი და ცოტა სიამოვნებაა.

2 ნოემბერი 1938 წელი

ორი დღის წინ კობამ გამომიძახა. მხოლოდ მოლოტოვი, კაგანოვიჩი და გიორგი (მალენკოვი) იყვნენ. ჩემს მოხსენებას ეყოფის შესახებ ყურადღებით ისმენდა. შემდეგ გაცოფდა დაიწყო გინება. თქვა „დახვრიტეთ მაგის დედაც... მაგრამ მანამდე კარ-

გად აჯანჯღარეთ, რომ კუდები არ დამალოს, ისინი ყველა უნდა გამოვააშკარაოთ.“

4 აპრილი 1942 წელი

როგორც იქნა დავაპატიმრეთ სტარასოტნები (ცნობილი ძმები, მოსკოვის სპარტაკის ფეხბურთელები). ბურთს მაგრად აგორებდნენ, მაგრამ ნაგავი ადამიანები აღმოჩნდნენ, ინტელიგენტებად მოქმედებდათ თავი. ყველაფერი მისცეს, რისი მიცემაც შეიძლებოდა. რამდენი ჩემპიონი იბრძვის გერმანელების ზურგში, სპორტსმენები მოსკოვთან იბრძოდნენ, ესენი კი, გარდა იმისა რომ წუწკები და სპეკულიანტები არიან, მოლაღატეებიც აღმოჩნდნენ. უნდა გააგორო ასეთები, მაგრამ კობამ თქვა ეს ნაგავი მოსკოვიდან შორს წაიღეთ და იქ აყროლდნენო. ინტელიგენტებს მძღნერის გარეშე არ შეუძლიათ.

23 სექტემბერი 1942 წელი

დღეს პირველად დავინახე კობას თვალეზე ცრემლი. მოვახსენე სტალინგრადზე, თუ როგორ იბრძვის ხალხი. მე როცა ზღვარზე ვარ, ვივინები და ეგრევე მეშვება. მაგას კიდევ თავი უჭირავს, მაგრამ გულს სად წაიღებს, ჰოდა ვეღარ გაუძლო.

10 მაისი 1945

ისევ საღამო კობასთან. ისევ მარტო სამინი - კლიმი(ვოროშილოვი), მე და გიორგი (მალენკოვი). ვიანისლავი (მოლოტოვი) შორსაა, ამერიკაში. კობა საკუთარ თავს ისევ არ გავდა. კიდევ უფრო რბილი იყო და კურცხალიც გადმოავ-

დო. ჩემს თავსაც ვერ ვცნობ. იმხელსა ტვირთი გადავაგორეთ რომ არც კი მჯერა. რამხელა ტვირთი გადავაგორეთ!

1 ნომებერი 1949

ატომური ბომბისთვის ამხანაგი სტალინისგან ლენინის ორდენი, საპატიო სიგელი და პოლიტიბიუროს მადლობა მივიღე. ჯილდოებისთვის არ ვმუშაობთ, მაგრამ ნაწყენი ვარ. ამხანაგ სტალინს შეეძლო ჩემთვისაც მეორე ვარსკვლავი მოეცა... მე კი გულითადი მადლობა მივიღე. ეს არ მახარებს. ამხანაგი სტალინი გამომარჩევს, ამხანაგი სატლინი არ გამომარჩევს. მე ვიცი რომ უფრო მეტი შემიძლო გამეკეთებინა, უფრო მეტი დამოუკიდებლობა რომ მქონდეს, მაგრამ მაკავებს ამხანაგი სტალინი. საწყენია.

17 ივლისი 1953

გერმანიაში გაფიცვები. ჩვენი სისულელე, მათი პროვოკაციები და შედეგად უნდა ვისროლოთ.

სროლა მოგვიწევს. ხალხი მეცოდება. თუ აზროვნება არ შეგიძლია, მთელი ცხოვრება სულელურად იცხოვრებ. ცხოვრებით კი რაღაცნაირად უნდა იცხოვრო. ჰოდა ცხოვრობენ როგორც სულელები. მაგრამ ახალი ადამიანები იბრძებიან... ჩვენზე ჭკვიანები და ჩვენზე ჭკვიანურად იცხოვრებენ.

ეს ბოლო ჩანაწერია. 1953 წლის 26 ივლისს ბერია დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ფოტოაქცია სენაკში ბაჰაიური მახაჯის სხილის ალბანური მიილუს მონაწილეობა



საქართველოს ჰეატი-მინისტრი ბიძინა ჰაჩიკაშვილი და მხარის ბაჰაიური მიილუს წევრები ფოტოსახილველში

25 ივნისს სენაკის იპოდრომზე გრანდიოზული საცხენოსნო შეჯიბრი „მარულა 2016“ ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საცხენოსნო კლუბებმა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, მათ შორის ფოდი-

დანაც. ღონისძიების დაწყებამდე იპოდრომზე დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონისათვის გამოყოფილ ადგილებზე, მოწოდებული იყო ამ რაიონის ამსახველი ფოტოსურათები და ეთნოგრაფიული კუთხეები. პარალელურად ხალხური შემოქმედებითი ანსამბლები ასრულებდნენ მეგრულ ფოლკლორულ სიმღერებსა და ცეკვებს.

საცხენოსნო შეჯიბრების „მარულას“ აღდგენასთან დაკავშირებით სიმბოლურად დაირგო მრავალწლიანი ხეები.

სამეგრელოში საცხენოსნო კლუბებს მდიდარი წარსული და დიდი ისტორია გააჩნიათ. ფოთელებს კარგად ახსოვთ ზღვისპირას გაშენებული იპოდრომი, სადაც ხშირად იმართებოდა შეჯიბრებები საცხენოსნო სპორტის სახეობებში - ისინდი, თარჩია, ცხენბურთი, ჩერუხი, ყაბახი, კონკური, დოღი და მარულა. ფოთის საცხენოსნო კლუბს მრავალი წლების განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოში და არამარტო საქართველოში კარგად ცნობილი ცხენოსანი კოსტა შურდია, რომელმაც ყოფილ საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადზე საბჭოთა კავშირის მარშალ ბუდიონისაგან საჩუქრად მიიღო ხმალი წარწერით - „ყველაზე ღამაზ მხედარს“. ამ კლუბის წევრები იყვნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონები კუკუნია შელია, დანტი ხოფერია და ვალიკო მაქაძარია.

ფოთის იპოდრომი ათწლეულების მანძილზე მასპინძლობდა მასშტაბურ საცხენოსნო შეჯიბრებებს.

ღონისძიება სენაკში „ახალგაზრდობის წლის“ ფაერგლებში ჩატარდა. „მარულა -2016“-ის ორგანიზატორები იყვნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია და სენაკის მუნიციპალიტეტი.




ქალაქ სენაკში ჩატარებულ დია ტურნირი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში, „კონკურ“-ში მერაბ შამათაევამ დაიკავა მე-3 ადგილი ცხენით სახელად „პირველი“; ხოლო დღეში 1000 მეტრ დისტანციაზე გამარჯვება მოიპოვა თემურ კუპრაძემ, ცხენით სახელად „ზორო“, მე-2 ადგილი დაიკავა ბექა საჯაიამ, ცხენით „ფერია“.

ინგა და ზურაბ აბრალავეები იზიარებენ დავით ტორონჯაძის მწუხარებას, მამის, ცნობილი ნავსადგურელის ილია ტორონჯაძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

ინგა და ზურაბ აბრალავეების იზიარება

სივრცელ კაცად ყოფნის სვედა ყოფილა



დის, მეც უფრო მეტად მჭირდებით და უფრო მეტად მეამაყებით. მეა-

20 ივნისი მადეა რომ პატოსანი და მშრომე-შენი დაბადების დღეა ჩემო მამა, კვლავ მოვიდა იგი უშენოდ და სევდიოთ ამავესო, მოურჩენელ ტეივცილად მექცა უშენობა,იმ სიცარიელეს ვერაფერი მივსებს, რაც შენ და დედამ დამიტოვეთ. დრო გადის, მეც უფრო მეტად მჭირდებით და უფრო მეტად მეამაყებით. მეა-

მადეა რომ პატოსანი და მშრომე-შენი დაბადების დღეა ჩემო მამა, კვლავ მოვიდა იგი უშენოდ და სევდიოთ ამავესო, მოურჩენელ ტეივცილად მექცა უშენობა,იმ სიცარიელეს ვერაფერი მივსებს, რაც შენ და დედამ დამიტოვეთ. დრო გადის, მეც უფრო მეტად მჭირდებით და უფრო მეტად მეამაყებით. მეა-

შენი შვილი ნანი მიმინოვილი

ფეხბურთი - ევროპის პიჩი

დიდი სენსაცია



27 ივნისს საფრანგეთში მიმდინარე ევროპის 2016 წლის ჩემპიონატზე 1/8-ფინალური ეტაპის ბოლო შეხვედრა გაიმართა. ერთმანეთს ინგლისისა და ისლანდიის ნაკრებები დაუპირისპირდნენ.

ინგლისელები შეხვედრის დასაწყისშივე დაწინაურდნენ, როცა უკვე მე-4 წუთზე ისლანდიელთა კარში პენალტი დაინიშნა, რომლის რეალიზებაც უნი რუნიმ მოახდინა. ამის შემდეგ ისლანდიელები გააქტიურდნენ და მეტოქეს ძალიან მალე ორი საპასუხო გოლი გაუტანეს – ჯერ 2 წუთში რაგნარ სიგურდსონმა გაიტანა, შემდეგ კი მე-19-ზე კოლბენ სიგორსონმაც შეაგდო. ეს იყო და ეს – ინგლისელებმა თამაშის შემობრუნება ვეღარ შეძლეს.

ისლანდიამ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა და ტურნირის 1/4-ფინალში გავიდა, სადაც მათი მეტოქე მასპინძელი საფრანგეთის ნაკრები იქნება.



მათთვის ვისას ვარსკვლავების სჯერა

4 ივლისს ახალმთავრობა-ართული პერიოდი მგრძნობიარე ადამიანებსათვის, უბრალო გაუგებრობაც კი შეიძლება მწვავე კონფლიქტში გადაიზარდოს. სასიკეთო პერიოდია ვერძის, კირჩხიბისა და ლომის ნიშნებით დაბადებულთათვის.

შვილები სოფიო, ლევანი ბიბილური-ძეები, შვილიშვილები მარიამ ბიბილურიძე, ნიკა, თენგი ჯანელიძეები, და თამილა გეგენავა, დისშვილები-თეა, ნანა, იური ნატყეები, ძმისშვილი ქრისტინა გეგენავა, დეიდა მარი ყალიჩავა, ბიცოლები-მერი, ლენა, ეთერი, ლუიზა, ნაზი, ბიძები-ვაჟა, ბოგდანი გეგენავები, დეიდაშვილები-დოდო გაბესკირია, მურთაზი, ბერდია, ლევანი გოგინავები, მამიდაშვილები - ზურა, დადი, კუკა, ბუთხუზი კვიციანიანი, თანგული ლავილავა, ნონა, ნანული, ნაირა ბოკუჩავები, ბიძაშვილები ლიზა, მამუკა, სვიჩა ყალიჩავები, ნატრული, რუსუდანი, თამარი, ინგა, რუსლანი, ბადრი, პაატა, დავითი, დიმიტრი, ზაზა, გონა, გია გეგენავები, ნათესავები, ახლობლები და მეზობლები, დრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



ინგა ბორისის ასული გეგენავა.

დაკრძალვა კვირას 29 მაისს მალთაყვის უბნის სასაფლაოზე



სამართალდამცავი სტრუქტურების, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და პატრიოტთა კავშირი „ფაზისი-დოსკური“-ის, წევრები, დრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 62 წლის ასაკში გარდაიცვალა დამსახურებული ფოთელი სამართალდამცველი, საქართველოს შინაგანსაქმეთა სამინისტროს ვეტერანი მუშაკი, საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების აქტიური მონაწილე, ვეტერანთა კავშირის ღირსეული წევრი, პოლიციის თადარიგის ვიცე პოლკოვნიკი ავთანდილ-ალექსის ძე არზიანი და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.